



MES 5 23 0000819520



04/07/2023

### სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი

#### ქ. თბილისი

სხდომის ჩატარების თარიღი: 03/07/2023

სხდომის დაწყების დრო: 15:00 სთ

სხდომის დამთავრების დრო: 15:10 სთ

სხდომის თავმჯდომარე - ბორის ლეჟავა

სხდომის მდივანი - ანა საბახტარიშვილი

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

საბჭოს წევრები:

**ბორის ლეჟავა** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დარგში, ამავე უნივერსიტეტის პროფესორი მარკეტინგის მიმართულებით - სხდომის თავმჯდომარე;

**ანა საბახტარიშვილი** - ა(ა)იპ - ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს მდივანი;

**არჩილ სუმბაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის გამგეობის წევრი, შპს "ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის" აკადემიური დირექტორი, საბჭოს წევრი;

**გივი გაგნიძე** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის "ახალი სკოლის მოდელის მხარდაჭერი" პროგრამის საგანმანათლებლო ლიდერობის ექსპერტი, საბჭოს წევრი;

**გიორგი ტრაპაიძე** - სს "ენერგო-პრო ჯორჯიას" ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი, საბჭოს წევრი;

**აკაკიხელაძე** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, მენეჯმენტი-ბიზნესის მიმართულებით, საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში - ცენტრი)

№	სახელი, გვარი	სტატუსი
1	გვანცა მეტრეველი	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

დებულების" (შემდგომში - დებულება) 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, სააპელაციო საბჭოს სხდომის ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom - ის გამოყენებით.

დებულების 99-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას გაუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ბორის ლეჟავა.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების 99-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილი იყო, რადგან მას ესწრებოდა საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

## **სხდომის დღის წესრიგი:**

**1. შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის N742281 სააპელაციო საჩივრის მიღების ან განხილვაზე უარის თქმის შესახებ საკითხის განხილვა.**

### **საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება:**

✓ არა

### **ზეპირი მოსმენა:**

**1. შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის N742281 სააპელაციო საჩივრის მიღების ან განხილვაზე უარის თქმის შესახებ საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ სააპელაციო საჩივარს და თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ პროცედურულად დაწესებულების მიერ სააპელაციო საჩივრის ცენტრში წარმოდგენის შემდგომ, სააპელაციო საბჭო იღებდა გადაწყვეტილებას, სააპელაციო საჩივრის მიღების ან განხილვაზე უარი თქმის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარის განმარტებით, საჩივრის მიღების წინაპირობები განსაზღვრული იყო დებულების 97-ე მუხლის პირველ პუნქტში. იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი აკმაყოფილებდა დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებს, საჩივარი მიიღებოდა განსახილველად.

ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ცენტრის ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დაწესებულებიდან გამოითხოვა ინფორმაცია, ხომ არ ჰქონდა მიმართული დაწესებულებას სარჩელით საქალაქო სასამართლოსთვის. რის შესახებაც, დაწესებულებამ წერილობით დაადასტურა, რომ მათ მხოლოდ ცენტრში ჰქონდათ სააპელაციო საჩივარი შემოტანილი, რომლითაც მოითხოვდნენ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობას და მიმართავდნენ სააპელაციო საბჭოს აღნიშნული საკითხის განსახილველად. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი სასამართლო წარმოებაში არ იყო. შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის სააპელაციო საჩივარი შეეხებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ იურიდიულ პირს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 22 მაისის N576384 გადაწყვეტილებით უარი ეთქვა ავტორიზაციაზე.

სააპელაციო საბჭოს წევრებმა განიხილეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი და თანდართული დოკუმენტაცია დებულების 97-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან მიმართებით და დაადგინეს, რომ საჩივარი შეესაბამებოდა დადგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის მიერ წარმოდგენილი N742281 სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 97-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე მიღებულ იქნა შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის N742281 სააპელაციო საჩივარი.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / სააპელაციო საბჭო  
თავმჯდომარე  
ლევან ბორის



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
სააპელაციო საბჭო  
მდივანი  
საბახტარიშვილი ანა

